პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
3 ოქტომბერი
№ 228 (17871)
ფასი 2 კაპ.

საქმეს გამოაჩინა

მძლავრი შრომითი მაჯისცემა

ხუთწლედი — ვადამდე!

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

სამშობლოს — მეტი პროდუქცია

ბიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის კოლექტივის სოციალისტური ვალდებულებანი

ახორციელებს რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს სსრ ბიათურის ლენინის ორდენოსანი მანგანუმის სამთამადნო კომბინატის კოლექტივმა ამა წლის ივლისში ვადამდე შეასრულა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მეათე ხუთწლედის დავალებანი.

კომბინატის მუშაკები დიდი ამაყოფილებითა და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებას პარტიის XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ. კომბინატის კოლექტივმა, რომელიც. პრაქტიკული საქმეებით უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მომავალი ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, მხარს უჭერს მგზნებარეს ინიციატივას, იკისრა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი:

გადაწყდა მეათე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით გამოუშვას მილიონ 100 ათასი ტონა მანგანუმის მადნის მაღალხარისხოვანი კონცენტრატი. შრომის მექანიზაციის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის, აგრეგატების და მოწყობილობის უკეთ გამოყენების საფუძველზე 1980 წლის გეგმის დამატებით გამოუშვას 70 ათასი ტონა მანგანუმის სასაქონლო მადანი, აქედან 20 ათასი ტონა უმაღლესი ხარისხისა. ხარისხის სახელმწიფოონიანი პროდუქციის გამოშვება 50 პროცენტამდე გაზარდოს. ერთი პროცენტის გადაჭარბებით გააუღდოს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება და ამ გზით მიიღოს 400 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

უყარათიანად ხარჯოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და წლიური დავალების გადაჭარბებით დაზოგოს 250 ტონა პირობითი სათბობი, 4,9 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 60 ტონა შავი ლითონები, 15 ტონა დიზელი სათბობი, 1200 კუბური მეტრი ხე-ტყე. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით მიიღოს მილიონი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია, ააშენოს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 250 ათასი ტონა მანგანუმის მადნის საწარმოო სიმძლავრენი.

პარტიის ყრილობის „ახსნის დღისათვის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს 3 ათასი ტონით გადაჭარბოს მანგანუმის მადნის მოპოვების 1981 წლის ორი თვის გეგმას. გამოუშვას 3 მილიონ 200 ათასი მანეთის უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქცია. დაზოგოს 42,5 ტონა ყველა ხახეობის სათბობი, 0,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 150 კუბური მეტრი ხე-ტყე.

ბიათურის ლენინის ორდენოსანი მანგანუმის სამთამადნო კომბინატის კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რათა წარმატებით შეასრულოს სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია კომბინატის მშრომელთა კოლექტივების კრებებზე

დოკერთა წარმატება

ბათუმი. (საკ. კორ. მ. გორგაძე). ბათუმის სატვირთო ნავსადგურის კოლექტივმა ორი კვირით ადრე შეასრულა ტვირთის დამუშავების რვა თვის გეგმა. ამ ხნის განმავლობაში მან გეგმის გადამეტებით 15 ათას ტონაზე მეტი მშრალი ტვირთი დატვირთა და გადმოტვირთა. დოკერებმა 90 საათი აგვისტოში საბერძნეთის გეგმის „კოტერის“ დაცლის დროს დაზოგეს, სინგაპურის გემის „კოლმელფორდის“ დამუშავებისას კი 19 საათით გაუსწრეს გათვალისწინებულ დროს.

ნავსადგურში ბათუმელ გემთმშენებლთა ინიციატივას „სკკპ XXVI ყრილობას — 26 დამკვრელური კვირა“ პირველნი გ. კახიძისა და ვ. ბოლქვაძის ბრიგადები გამოეხმაურნენ. დოკერების გადაწყვეტილებაა ყოველი კვირა მაღალი შრომითი ენთუზიაზმით აღნიშნონ და სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ტვირთი დაამუშაონ.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ვალდებულება შესრულდა

მარანეულია 50.044 ტონა ყურძენი!

წითელწყაროელმა მევენახეებმა სიტყვა საქმედ აქციეს — ვადამეტებით შეასრულეს ყურძნის დამზადების ვალდებულება.

გუშინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივანს ჟ. ყარაულაშვილს.

აი რა თქვა მან:

— არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენს რაიონში მევენახეობა არ იყო მთავარი დარგი. რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების გადაწყვეტილებით ამ ბოლო წლებში დიდ ფართობზე გაშენდა რქაწითელის ზვრები და ჩვენს რაიონში, მემინდვრეობასთან და მეცხოველეობასთან ერთად, მევენახეობა ეკონომიკის მძლავრი ბერკეტი გახდა.

ბოლო შვიდ-რვა წელიწადში ვენახის ფართობმა თითქმის ერთიათად იმატა, შესაბამისად მატულობს ჰექტარობრივი მოსავლიანობაც. 50.000 ტონა ყურძნის დამზადება იკისრეს წლიულ რაიონის მშრომელებმა. იკისრეს და შეასრულეს კიდეც! ამ რაიოდენობის ყურძნის დამზადებაზე ადრე იოცნებაც არ შეიძლებოდა. შორს რომ არ წავიდეთ, ეს შარშანდელ მოსავალზე ორჯერ და კიდევ უფრო მეტია.

მთელი წლის განმავლობაში ვენახებში დროზე შესრულდა მიწის სამუშაოები, აგრეთვე სხვლა, ფურჩვნა, წმენდა, რწყვა. და დალოცვილმა ვაზმაც შრომა დაგვიფასა. სწორედ აგროკომპლექსური ღონისძიებების განხორციელებამ, გულმოდგინებამ და საქმის სიყვარულმა მოიყვანა უხვი მოსავალი. ზოგიერთ ბრიგადაში საშუალოდ ჰექტარზე 150-200 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს, ხოლო ზემო ქედელმა ა. სისაურმა, გამარჯვებულებმა ბ. კაკალაშვილმა და ვ. ფიროსმანაშვილმა, არხნილსკალელმა ა. ციხელაშვილმა გაპირიფვებული ვენახიდან სარეკორდო მოსავალი — ჰექტარზე 300 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ზემოქედელი გ. არაბულის ოჯახი მარტო პრემიის სახით 8 ათას მანეთზე მეტს მიიღებს. მას ბევრად არ ჩამორჩებიან თ. პეტრიაშვილი, თ. არაბული, გ. ოლაძე და სხვები. ასეთი რეკორდსმენი რაიონში ბევრია.

სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ა. კოლაძე) დაგეგმილი 5.000-ის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 8.200 ტონა ყურძენი, ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — გ. ბიკამბილი) 6.000 ტონის ნაცვლად — 7.230 ტონა და სხვ.

რაიონის მევენახეებთან ერთად, ვინც ეს დიდი მოსავალი მოიწიფეს და საგულდაგულოდ დაბინავეს, მადლობის ღირსნი არიან ღვინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, მეღვინეობის სპეციალისტები. ისინი დღედაღამ გულმოდგინედ თავს დასტრიალებდნენ ქვევრ-მარანს.

რთველი გრძელდება, კიდევ იქნება 1.000 ტონა ყურძენი.

წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნეობაში გრძელდება რთველი. აქაურმა მევენახეებმა გეგმით გათვალისწინებული 2.060 ტონის ნაცვლად (ვალდებულება 3.100 ტონა) 6.400 ტონა ყურძენი მოკრიფეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს. მოწინავეთა შორისაა კომკავშირელი ნანული წიკლაური, რომელიც ყოველდღიურად 600-700 კილოგრამს ყურძენს კრეფს.

სურათზე: ნანული წიკლაური რთველში.

ვ. ვენგეროვის ფოტო.

საკარმიდამოდან

ყვარელი. (საკ. კორ.). რაიონში 2 ოქტომბრის მონაცემებით დამზადებულია 62.261 ტონა ყურძენი. აქაურ მშრომელთა შორის გამშვილია საყრილობო სოციალისტური შეჯიბრება ომისათვის, თუ ვინ უფრო დიდ წილს დაიდებს ამ საქმეში. „ქინძმარაულის“ ღვინის ქარხანაში ყვარელელმა ბურრამ მზეკალაშვილმა თავის წილად 9.200 კილოგრამი ყურძენი მიიტანა, შილდის ღვინის ქარხანაში ალექსი ციცკარიშვილმა — 6.850 კილოგრამი და სხვ.

ზვრების ბარაქა

რთველი-80

ყურძნის დამზადების 1980 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულება (ტონობით)

მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის“ 2 ოქტომბრის ცნობა

რაიონები	გეგმა-ვალდებულება	შესრულება	დღეკრეკი
გურჯაანის	150.000	131.835	2459
თელავის	95.000	70.468	1200
ყვარლის	80.000	62.261	2417
სიღნაღის	65.000	62516	796
ახმეტის	60.000	31.624	1720
წითელწყაროს	50.000	50.044	1350
საგარejოს	40.000	14.788	747
ლაგოდეხის	20.000	14.758	808
მარნეულის	22.000	22.247	77
გარდაბნის	10.500	3.812	56
ბოლნისის	16.000	14.047	50
თეთრიწყაროს	3.000	394	—
მცხეთის	15.000	1.070	890
დუშეთის	2.800	61	61
ხაშურის	30.000	144	1219
ორჯონიკიძის	7.000	208	—
ზესტაფონის	30.000	420	13
თერჯოლის	25.000	252	—
მაიაკოვსკის	20.000	240	—
ვანის	20.000	227	107
საჩხერის	7.000	184	40
სამტრედიის	2.500	49	12
წყალტუბოს	4.000	92	27
წულუკიძის	800	21	2
ტყიბულის	500	14	2
ჩოხატაურის	3.700	19	2
მახარაძის	800	19	19
გეგეჭკორის	2.500	45	5
ცხაკაიას	1.200	106	63
ჩხოროწყუს	1.100	17	6
ზუგდიდის	2.000	8	1

კახეთში მოკრეფილია 438.294 ტონა ყურძენი. 1 ოქტომბერს რესპუბლიკაში მოიკრიფა 13.083 ტონა.

რესპუბლიკაში 2 ოქტომბრისათვის სულ მოკრეფილია 483.124 ტონა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 146. 688 ტონით მეტი.

ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისი

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ხისტემაში ახალ სასწავლო წელს პირველი მეცადინეობა ყველგან გაიმართა თემაზე „ლენინური კომუნისტური პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისი“. სკოლებისა და სემინარების მსმენელებს მოელი სიდიადით წარმოუდგა ჩვენი ლენინური პარტიის საქმიანობა, მისი გმირული გზა და ფასდაუდებელი ისტორიული გამოცდილება, ბრძნული საშინაო და საგარეო პოლიტიკა. მკაფიოდ და დამაჯერებლად იყო ნაჩვენები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი, მისი წარუვალი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი.

პირველი მეცადინეობა ტონს აძლევს მიმდინარე წლის მეოთ სწავლებას, რომელიც მიმდინარეობს სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის, მეთერმეტე ხუთწლედში მუშაობის მტკიცე საძირკვლის შექმნისათვის

...თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა. აქ მეცადინეობა ჩაატარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ამ სკოლის მსმენელები — კომუნისტური შრომის დამკვრელები, კომპლექსური ბრიგადების ბრიგადირები, წარმოების ნოვატორები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების პასუხად გახდნენ თავიანთ კოლექტივებში ინიციატორები ახალი პატრიოტული მძრაობისა, რომელიც მიმდინარეობს დევიზით „ლენინური პარტიის“ ყრილობას — დამკვრელური შრომა, სანიმუშო ყოფა!“. თაოსნობა, რომელსაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ყველა ქვეგანაყოფში, ფართოდ გაიზიარეს რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა. ამიტომ, მეცადინეობაზე გამოსვლისას, სკოლის პროპაგანდისტმა ა. ეაშაკიძემ და მსმენელებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს პარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა განხორციელებას, ილაპარაკეს არა მარტო თავიანთი კოლექტივების, არამედ მთლიანად ელმავალმშენებლების, ყრილობის წინ მთელი რესპუბლიკის შრომელთა საქმეებზე.

კანონიერი სიამაყის გრძნობით ილაპარაკეს მათ იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ თავიანთი იმ ახალი სამოქმედო პროგრამის თითოეულ პუნქტს, რომლის მიზანია ღირსეულად შეხვდნენ ქვეყნის კომუნისტთა ფორუმს. დღეს სამუშაო გრაფიკის გასწრებით შრომობენ სკოლის მსმენელები. მაქსიმალურად იყენებენ რა შინაგან რეზერვებს, მათ სტაბილური მუშაობა უზრუნველყვეს მათდამი მინდობილ წარმოების უბნებზე. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი ა. გელაშვილისა და გ. მეტონიძის, შ. გამცემლიძისა და უ. ერაძის, ტ. ლომიძისა და მ. გოგოლაძის ბრიგადებმა. ამ კოლექტივების მიერ გამოშვებული თითქმის მთელი პროდუქცია პირველი წარდგენით ბარდება. გაიშალა ბრძოლა, რათა 23 თებერვალს — სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღეს — სამშობლოს უპატაკონ მეთერმეტე ხუთწლედის პირველი წლის პირველი კვარტალის დავალების შესრულება.

ილაპარაკეს რა თავიანთ შრომითს წარმატებებზე, მსმენელებმა თქვეს, რომ საჭიროა უფრო აქტიურად იბრძოლონ სანიმუშო საყოფილათვის, იმისათვის, რომ კოლექტივის წევრებს ჩაუნერგონ მაღალი მორალური და ზნეობრივი თვისებები, ნაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უკომპრომისო, მტკიცე ბრძოლას სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის, მავნე ტრადიციებისა და ჩვეულებების, კერძომესაკუთრული ტენდენციების, ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისა და მორალის ყოველგვარი გადმონაშთების წინააღმდეგ.

სკოლის მსმენელთა მოქალაქეობრივ პოზიციას განსაზღვრავს ის, რომ ისინი ეყრდნობიან ყველაზე მოწინავე თეორიას — მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას.

შეაჯამა რა მეცადინეობის შედეგები, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უკვე ტრადიციულად ქცეულ რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკთა შეხვედრებს პროპაგანდისტებთან და მშრომელთა პოლიტიკური განათლებისა და ეკონომიკური განათლების სკოლებისა და სემინარების მსმენელებთან. ითქვა, რომ ასეთი შეხვედრები ამდიდრებს მათ მონაწილეებს, მეცადინეობას უფრო ღრმა შინაარსს ანიჭებს, შრომითი კოლექტივების წინაშე დასახული ამოცანების უკეთ გარკვევის, მოქმედების ზუსტი პროგრამის განსაზღვრის, პერსპექტივის დასახვის შესაძლებლობას იძლევა. და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლო მეათე ხუთწლედის დამთავრების პერიოდში, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წინ.

პარტიასა და ხალხს ერთი მიზანი აქვთ, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, და ამიტომ პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია. კომუნიზმისა და მშვიდობის საქმისადმი, მშრომელი ადამიანების ბედნიერებისადმი თავდადებული სანსახურით კომუნისტურმა პარტიამ მუშათა კლასის, კოლმეურნე, გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის უსაზღვრო ნდობა, ავტორიტეტი და სიყვარული მოიპოვა. მხურვალედ აწონებს და ერთსულოვნად უჭერს რა მხარს პარტიის კურსს, ხაბჭოთა ხალხს იგი ეპოვნის გონებად, პატიოსნებად და სინდისად მიაჩნია.

როცა საბჭოთა საქართველოს მიღწევებს შეეხო, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი გასწრებით შეასრულა ხუთწლედის ოთხი წლის დავალებანი ერთობლივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ზრდის ტემპისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით.

ეს იმის შედეგია, რომ აღდგა და დამკვიდრდა პარტიული ცხოვრების ლენინური სტილი, კომპლექსური მიდგომა ახალი ადამიანის აღზრდისადმი. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მტკიცე მიზანდასახულმა ბრძოლამ, როგორც რესპუბლიკის ეკონომიკაში, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, დადებითი ნაყოფი გამოიღო.

დღეს კალენდარზე მხოლოდ ოქტომბრის პირველი რიცხვებია, რესპუბლიკის მრეწველობა კი უკვე რამდენიმე დღეა მუშაობს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მეათე თვის ანგარიშში. საწარმოებში მთელი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საქართველოსში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

თავიანთი წარმატებებით გვაჯარებენ სოფლის მშრომელებიც. მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა შეასრულეს თავიანთი ხუთწლიანი დავალებანი, ამისთვისვე. იბრძვიან ჩვენი სახელოვანი მევენახენი. მიმდინარე წლის რთველი იმედს გვინერგავს, რომ მოვკრეფთ 770 ათას ტონა ყურძენს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკამ ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა დღევანდელი წარმატებანი მომავალ გამარჯვებათა საიმედო გარანტიაა.

თბილისელ ელმავალმშენებელთა კოლექტივი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი და მოწინავე შრომითი კოლექტივია, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. მას მხარს უსწორებენ, მას ბაძავენ, მისგან იღებენ მაგალითს. ამის დამჯერებელი დადასტურებაა თქვენი სკოლის მსმენელთა ინიციატივა, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურნენ. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ, ეგებმი რა პარტიულ ყრილობას, თქვენ სავსებით სწორად გააერთიანეთ საწარმოო წარმატებებისათვის ბრძოლა და სანიმუშო ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ კომუნისტური პარტია არასოდეს არ აშორებს ერთმანეთს საბჭოთა ადამიანის შრომითის საქმეებსა და მის მორალურ სახეს.

ყველასი და თითოეულის შეგნების ამაღლება, დისციპლინის განმტკიცებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება პირდაპირ ახდენს გავლენას ხალხის კეთილდღეობაზე. მაღალი დისციპლინა ხომ, საბოლოო ანგარიშით, ნიშნავს მეტ მაღალხარისხოვან პროდუქციას, სოლიდურ მატერიალურ დოვლათს. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო სრულყოთ ელმავალმშენებელთა პატრიოტული ინიციატივები, ყველგან გავავრცელოთ იგი.

მნიშვნელოვანია ელმავალმშენებელთა წვლილი საქართველოს მრეწველობის საერთო წარმატებაში. მეთერთმეტე ხუთწლედში იგი კიდევ უფრო გაიზრდება: დამთავრდება საწარმოს გენერალური რეკონსტრუქცია, დაიწყება ახალი სამაგისტრალო ელმავლის გამოშვება. კოლექტივმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა მიაღწიოს, რომ მას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭოს. ამისათვის საფუძველი იქმნება ჯერეს თითოეულის დამკვრელური, მაღალნაყოფიერი შრომით, საყრილობო შრომითი მეტოქეობის ატმოსფეროთი, რომელიც კოლექტივში სუფევს.

პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი ნათლად ვლინდება რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. გრანდიოზული პერსპექტივები ისახება ჯერეს ბაჭოთა საქართველოს წინაშე. შენდება ათობით ახალი სამრეწველო ობიექტი. ახალი სამრეწველო ზონა და სასოფლო-სამეურნეო საწარმო, მიმდინარეობს ინდუსტრიის ისეთი ფლაგმანების რეკონსტრუქცია, სიმძლავრეთა გადიდება, როგორიც არის ჭუთაისის საავტომობილო, რუსთავის ქიმიური და მეტალურგიული, ზესტაფონის ფერომანგანუმთა, თბილისის ელექტროვაგონმშენებელი ქარხნები. ამასთან დაკავშირებით მთელი სიგრძე-სიგანით დგება ჩვენ წინაშე შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, თითოეულ საწარმოში, თითოეულ საამქროში, ყოველ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების გადიდების მთელი რეზერვებისა და შესაძლებლობების ამოქმედების, ნაყოფიერი მუშაობისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნის პრობლემა.

კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საბჭოთა ადამიანები ბედნიერად ცხოვრობდნენ და მშვიდობიანად შრომობდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს. ჩვენი სახელმწიფოს სამშვიდობო ინიციატივებმა, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, მთელი მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალების მხარდაჭერა დაიმსახურა.

საბჭოთა კავშირი მშვიდობის საყოველთაოდ აღიარებული ბურჯია, და ამის იგი დღენიადაგ ამტკიცებს: მშვიდობისთვის ბრძოლა ხომ ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის — სსრ კავშირის კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, თითოეული ჩვენგანის შრომა კი, რომელიც ჩვენს დიად საშობლოს უფრო მდიდარს, უფრო ძლავრს ხდის, დღეს მთელი მსოფლიოს მშვიდობის, ჩვენი შვილების ბედნიერების, ჩვენი ნათელი მომავლის საიმედო გარანტიაა. (საქართველო).

„ბარაქალა თქვენს გმირულ შრომას, თქვენს თავდადებას, მეჩაიეებო!“

მეჩაიეობის რაიონებში მთელი ძალით არის გაჩაღებული საყრილობო სოციალისტური შეჯიბრება. მათ უკვე შეასრულეს წინათ ნაკისრი ვალდებულება, სახელმწიფოს მისცეს 470 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი და ახლა ნახევარმილიონნიანი მოჯნის მისაღწევად შრომობენ. მაგრამ ბოლო დღეებში ხშირად წვიმს. გამრჯე, საქმის მოყვარული მეჩაიეები წვიმასა და სიცივეს არ ეპუებიან და ჩაის ფოთოლს კრეფენ ყოველგვარ ამინდში, რათა სიტყვა საქმედ აქციონ. მათ შორის, ვინც ჩაის ფოთოლს წვიმაშიც საკმაოდ კრეფს, გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებიც არიან. ბარაქალა თქვენს შეუპოვარ შრომას, მეჩაიეებო!

სურათზე: ჩაის ფოთლის კრეფა აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში.

ს. კილაძის ფოტო.

ბარაქალა, ოსტატებო!

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა ქალაქში ყველა იცნობს სტალინის სახელობის შახტის ნოვატორ მნგრეველს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს ლ. კირკიტაძეს. სკკპ XXV ყრილობის დამთავრების პირველსავე დღეებში იგი მეათე ხუთწლედის ვადამდე შესრულების ინიციატორი გახდა, ნოვატორმა მუშახტემ სიტყვა საქმედ აქცია. მან პირადი ხუთწლიანი გეგმა შარშან მარტში შეასრულა და ვალდებულება იკისრა დარჩენილი დროში კიდევ ორი წლის ნორმა შეასრულოს.

ახლა მან, აქტიურად ჩაება რა სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადაწყვიტა: კომუნისტთა დიდი ფორუმის გახსნამდე დარჩენილ დროში გეგმის გადამეტებით ყოველღღე მოანგრიოს 2,5-3 ტონა ქვანახშირი.

ასევეა ბაილეთშიც, კოლმეურნეობა „უკრაინის“ შრომისმოყვარე მეჩაიეები საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ვახტზე დგანან და ფოთლის კრეფის დღიურ დავალებას ავდარშიც გადამეტებით ასრულებენ. სოციალისტური შრომის გმირი ზინა ბაჯელიძე ფოთლის კრეფის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. ასევე კარგად შრომობენ ნ. ჩხარტიშვილი, ს. დოლიძე, ლ. დოლიძე, ნ. ლომაძე, ც. კომახიძე და სხვები. პირველ ოქტომბერს წვიმიან დღეს ბაილეთელმა მეჩაიეებმა 10 ტონაზე მეტი ფოთოლი ჩააბარეს ფაბრიკას. რაიონში ამ დღეს სულ 300 ტონაზე მეტი ნედლეული დამზადდა.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ერთ ოჯახში

ბაღდადი. (საკ. კორ.). ბაღდადის ერთ ოჯახში ეროვნებით ბერძენ ალექსანდრ ალექსანდროვ ბოლოდროინდელ ხანებში ბავშვი დაბადებულა. ეს ბავშვი

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ერთი სასწავლო ბაზის შუქ-ჩრდილები

ყოველ საანგარიშო-საარჩევნო კრებას თავისი გამორჩეული ნიშანი აქვს. ასევე ითქმის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუზრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. მეურნეობის კომუნისტები შეიკრიბნენ, რათა გაეანალიზებინათ წლის მანძილზე გაწეული შუშობა, კოლექტიური პასუხი გაეცათ კითხვაზე: როგორ ასრულებენ ისინი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის და მთლიანად ხუთწლედის გეგმებს, როგორ მიმდინარეობს ახალგაზრდა კადრების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მომზადება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის, როგორია კომუნისტების ავანგარდული როლი, როგორ წარმართავს პარტიული ორგანიზაცია იდეოლოგიურ და პოლიტიკურ-აღმზრდელობითს შუშაობას მასებში...

როგორც მომხსენებელს თამარ პაპაშვილს, ისე მოკამათეებს სალაპარაკო და განსასჯელი საკმაოდ ჰქონდათ. — ჯერ კიდევ შარშან, — ითქვა კრებაზე, — ზოგიერთი განყოფილებაში ურიგდებოდნენ საწარმოო გეგმების შეუსრულებლობას. მაგალითად, 1979 წელს დასახული გეგმები არ შეუსრულებიათ ქსოფრისის აგროგანყოფილების მარცვლეულის, მეხილეობის, მეცხოველეობის ბრიგადებს, მაღალი იყო პროდუქციის თვითღირებულება.

მდგომარეობის გამოსასწორებლად მაშინ მარცვლეულის წარმოების ბრიგადას სათავეში ჩაუყენეს ენერგიული შუშაკი, პარტბიუროს წევრი გ. ბაშარუული. მან ნდობა გაამართლა. აგროტექნიკური ღონისძიებათა განხორციელების შედეგად წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 31 ცენტნერი ხორბალი 24 ცენტნერის ნაცვლად, 30 ცენტნერი ქერი, 21 ცენტნერის ნაცვლად, მაგრამ ზოგიერთ ბრიგადაში კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა და სწორედ ამაზე კამათობდნენ ცხარედ კრების მონაწილენი.

შარშან მარცვლეულის წარმოების ხუთწლიანი დავალება მეურნეობამ 105,1 პროცენტით შეასრულა, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მყიდველისა — 202 პროცენტით, ხორცისა — 107,2 პროცენტით, რძისა — 108,9 პროცენტით, გადაჯარბებით შესრულდა აგრეთვე აბრეშუმის პარკის წარმოების დავალება, რაშიც გარკვეული წვლილი შეიტანეს კომუნისტებმა ა. დალაქიშვილმა, გ. პეპანაშვილმა, რ. გვრიტიშვილმა, ჯ. ბიქიაშვილმა და სხვებმა. საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა აგრეთვე ისიც, რომ ყველა აგროგანყოფილებაში შექმნილია პარტიული ჯგუფები, რომელთა უმრავლესობა კარგად შუშობს. ცენტრალური აგროგანყოფილების პარტიული ჯგუფი ძალ-ღონეს არ ზოგავს კომუნისტური, შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდისათვის. მაგრამ ასე როდია ქსოვრისის აგროგანყოფილების პარტიულ ჯგუფებში. აქ ნაკლებ მზრუნველობას იჩენენ ახალგაზრდებისადმი. ზოგიერთი მოწინავე ახალგაზრდა ეუყურადღებოდ არის მიტოვებული. აქვთ სხვა ნაკლოვანებანიც: მოუწყობელია ქსოვრისის აგროგანყოფილების სახელოსნო, ჭიანურდება მექანიზმების დამონტაჟება. ზოგიერთი ნაწილის უქონლობის გამო ყოვნდება ტრაქტორების, ავტომანქანების ძრავების რემონტი და სხვ.

კრებაზე გულისტკივილით აღინიშნა, რომ მეურნეობაში ვერ ითვისებენ სბავშვო ბაღის, სასადილოს ასაშენებლად, მანქანა-იარაღების შესაძენად და სხვა ღონისძიებებისათვის გამოყოფილ თანხებს. ათვისებულია ამისათვის გამოყოფილი თანხის მხოლოდ 75 პროცენტი.

მომხსენებელმა დაასახელა საყურადღებო ფაქტები: მეურნეობის აქვს აგროგანყოფილებას სათავეში უდგას უმაღლესი განათლების მქონე შუშაკები, ოთხ ბრიგადირს უმაღლესი განათლება, ათ ბრიგადირს კი საშუალო სპეციალური განათლება აქვს. აგროგანყოფილებათა მმართველები კომუნისტები არიან, რომელთა შორის გამოირჩევიან გ. პეპანაშვილი, გ. ფიფია, ა. დალაქიშვილი, შ. ავანასშვილი. წელს კვალიფიკაცია აიმაღლეს მეურნეობის 4 ტრაქტორისტმა და 6 მელიორატორმა, მეურნეობის ხარჯებით მომზადებული სპეციალისტები დაუბრუნდნენ წარმოებას და სხვადასხვა უბანზე შრომობენ.

მოგეხსენებათ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზით სახალხო მეურნეობის განვითარება მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციისა და ფართო პროფილის მუშებისა და სოფლის მშრომელების მომზადებას. სწორედ ეს საპატიო მისია აკისრია სასწავლო-საცდელ მეურნეობას. იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა მოსამზადებელი ბაზაა, სადაც მთელი წლის მანძილზე თეორიულ ცოდნასთან ერთად შრომის პრაქტიკულ ჩვევებს იძენს 500-მდე სტუდენტი. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დიდმა უმრავლესობამ აქ შეიძინა პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები იბრძვიან სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მაგრამ ამ მხრივ გაცილებით მეტის გაკეთებაა საჭირო. როგორც ამ გასაკეთებელზე, ისე სხვა გადასაჭრელ პრობლემებსა და მოსაგვარებელ საკითხებზე ილაპარაკეს კამათის მონაწილეებმა ა. დალაქიშვილმა, გ. ჩიგოშვილმა, რ. გვრიტიშვილმა, შ. ავანასშვილმა, ჯ. ბიქიაშვილმა, რ. ბედოიძემ და სხვებმა, მეურნეობის დირექტორმა ა. მინდაძემ, კერძოდ თქვა, რომ მეურნეობაში დიდმნიშვნელოვანი საკითხია ყურძნის, ხილის, მარცვლეულის წარმოების შემდგომი ზრდა. პირველი რიგის ამოცანად მიჩნეულია აგრეთვე სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება. აღსანიშნავია, რომ მათთან პრაქტიკას გადიან ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტები. ამიტომ მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვკიდოთო სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. კარგი შედეგებია მიღებული სელექციის, თესლბრუნვის, საკვებწარმოების საქმეში. შემუშავდა და დაინერგა საკვებწარმოების ახალი ფორმები, რამაც გაზარდა სასენაჟე და სასილოსე მასის წარმოება, გააუმჯობესა ხარისხი. ამასთან ა. მინდაძემ თვითკრიტიკულად თქვა, რომ მეურნეობის ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ ზოგიერთ უბანში ჩამორჩენისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა თქვას: მოხსენებაში ნაკლები ადგილი დაეთმო იმას, თუ რა შედეგები მოჰყვა მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმებას. მთლიანი სურათი არ იყო მოცემული აგროგანყოფილებებში, ბრიგადებსა და ადმინისტრაციულ აპარატში მომუშავე კომუნისტების საქმიანობაზე. მართალია აღინიშნა სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობაზე, ქმედითობაზე. საჭირო იყო უფრო კრიტიკულად ეთქვათ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის მეურნეობაში.

ნ. ჯანჯღავა.

პირველ მეცადინეობებზე პარტიული განათლების სისტემაში

თეორიული ცოდნა — შრომითს ენთუზიაზმად!

მოეწყო პირველი მეცადინეობები პარტიული განათლების სისტემაში. პირველ მეცადინეობებზე, რომელთა საერთო თემა იყო — „ლენინური პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისია“, კიდევ ერთხელ გამოვლინდა საქართველოს მშრომელთა მზადყოფნა პარტიის წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის. მეცადინეობებმა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების ნიშნით ჩაიარა.

ხუთწლედის შესრულება

უპატაკეს

ზარსულის გაკვეთილები

ქოგულეთი. „ლენინური კომუნისტური პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისია“, — ამ თემაზე მოეწყო პირველი მეცადინეობები ქობულეთის მემოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, მაგრამ პირველადი პარტიული ორგანიზაციის, მისი ბიუროს კარგი მუშაობის შედეგად ეს მეცადინეობები ამასთან მომავალი სასწავლო გეგმების დაკონკრეტებისა და განხილვის დღედაც იქცა.

—ჩვენი პარტიული ორგანიზაციის პარტიული განათლების სისტემაში — კონსულტაციის შემსწავლელ სკოლებსა და თეორიულ სემინარში — „ხელმძღვანელი და შრომა“ შარშან მსმენელებმა საფუძვლიანი ცოდნა მიიღეს, მაგრამ ამ ცოდნის პრაქტიკაში სრულყოფილად გამოყენება მაინც ვერ შევძელით, — თქვა საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. გოგიტიძემ, — ამიტომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში სწორედ ამ საკითხზე გავამახვილეთ ყურადღება და ჩვენმა პროპაგანდისტებმაც ეკონომიკური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელ სკოლაში მეტი ყურადღება დაუთმეს მეურნეობის ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მეცადინეობებმა ორგანიზებულად ჩაიარა ეკონომიკური პოლიტიკის შემსწავლელ თეორიულ სემინარში, რომელსაც მეურნეობის დირექტორი დ. მეგრელიძე ხელმძღვანელობს. საინტერესოდ ჩატარდა სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემსწავლელი სკოლის მეცადინეობა. ამ სკოლის ახალი სასწავლო წლიდან სათავეში ჩაუდგა აგროგანყოფილების მმართველი აგრონომი პროპაგანდისტი ზ. მენაბდე. გვაქვს სიახლეც — წლეულს პირველად იმეცადინებს სახალხო კონტროლიორთა სკოლა (პროპაგანდისტი — გ. ჩხაიძე).

ახლა მეურნეობის პარტიული განათლების სისტემაში ბევრად მეტი მსმენელია ჩაბმული, ვიდრე გასულ სასწავლო წელს.

მ. ბოგრიდლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კარტიულ ორგანიზაციებში

მხარდაჭერა კვირფას თაოსნობას

მახარაძე. (საკ. კორ.) პარტიის მახარაძის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების ქმედითობის შესახებ.

გაზეთის რედაქციის საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი უბანია საზოგადოებრივ მეურნეობებში, შრომის ორგანიზაციაში, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა, კერძოდ, გაზეთის კრიტიკული გამოსვლები ძირითადად ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება, მართვის სრულყოფა, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება.

„განახლებული აბაშა“ სერიოზულ ყურადღებას აქცევს კრიტიკული წერილების ქმედითობას. რაიონის ბევრი ორგანიზაცია გულისყურით ეკიდება მის კრიტიკულ გამოსვლებს და ახორციელებს პრაქტიკულ ღონისძიებებს აღძრული პრობლემების გადასაჭრელად.

ამასთან პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ ზოგჯერ გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი ვერ აღწევს მიზანს, ცალკეული წერილებიც ზოგჯერ ზოგადი ხასიათისაა. გაზეთის მამხილებელ კრიტიკულ წერილებზე პასუხს აგვიანებენ „კოლხეთშენის“ № 1 სამშენებლო უბნის, № 51 მოძრავმექანიზებული კოლონის, ზანათის სასოფლო საბჭოს, რაიონული ელქსელის და სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ი. თოფურია.

კრიტიკული წერილების ქმედითობა

აბაშა. პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების ქმედითობის შესახებ. ამ კოლექტივებმა, რომლებიც გაეცნენ თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის მარქსიზმ-ლენინიზმის სკოლის მსმენელთა თაოსნობას, გადაწყვიტეს დადგენენ სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავ დაძაკვრელური შრომისა და სანიმუშო ყოფის 26 კვირა ვახტანგ ვახტანგ.

რაიკომის ბიურომ მოიწონა ეს ინიციატივა და დაავალა რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს გაშალონ ორგანიზატორული, იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მისი ფართო მხარდაჭერისა და განხორციელებისათვის.

ბიურომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების და საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი რაიონის შშრომელთა დაძაკვრელური შრომისა და სანიმუშო ყოფის 26 კვირა მოითხოვს ტკიცე შრომითს დისციპლინას ყველა უბანზე, მშრომელთა სანიმუშო მომსახურებას ყველა სფეროში.

ბ. ჩხაიძე.

● ●

კრიტიკული წერილების ქმედითობა

ანაგა. პარტიის რაიკომის ბიუროს განიხილა საკითხი რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული „ცოლიანობა“ ... ...

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

საერთაშორისო ცხოვრება დღეკამიწის ჭურჭელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა ინტერესებისათვის

მშრომელთა კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლაში პროფესიული კავშირთა აქტიურობის შემდგომი გაძლიერების ნიშნით გაიხსნა 1 ოქტომბერს მოსკოვში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს XXXI სესია. იგი დაემთხვა მშრომელთა უდიდესი საერთაშორისო გაერთიანების — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის 35-ე წლისთავს.

შესავალ სიტყვაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ შ. გაშპარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ღონისძიებები განხორციელდეს ფედერაციის მუშაობის ეფექტიანობის გადიდებისათვის, რათა ყველა მშრომელის ინტერესებისათვის იგი უფრო სრულად შეესაბამოდეს დღევანდელი დღის მოთხოვნებს. აღნიშნა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობის შესრულება, ერთხმად მოიწონა პრეზიდენტ-მინისტრ ბ. ულუსუს მიერ წარდგენილი ახალი მთავრობის პროგრამა. ახალი კაბინეტის შემადგენლობაში შევიდა 27 კაცი, მათ შორის შვიდი ყოფილი სამხედრო პირი. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია კადრის დიპლომატი, თურქეთის ყოფილი ელჩი სსრ კავშირში და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი გენერალური მდივანი ილთერ თურქმენი.

გაზეთ „მილიეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბ. ულუსუმ თქვა, რომ მთავრობის პროგრამა მიზნად ისახავს სახელმწიფოს ეკონომიკური და საშინაოპოლიტიკური ცხოვრების ნორმალიზაციას. მან აღნიშნა, რომ მი-

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესია

ამ საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური დოკუმენტი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა საბჭომ სესიაზე ფედერაციის რიგებში მიიღო ახალი წევრები — შვიდი ქვეყნის პროფცენტრები.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა ფედერაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ი. ზახარიამ. მან თქვა, რომ ყველა კონტინენტის მუშათა კლასი და პროფცენტრები გადაჭრით უწევენ წინააღმდეგობას მონოპოლისტური კაპიტალის შეტევას მშრომელთა საარსებო ინტერესებზე. ისეთ პირობებში, როცა იმპერიალიზმის აგრესიული წრეები საფრთხეს უქმნიან მშვიდობას და ყოველივე იმ პოზიტიურს, რისთვისაც იბრძვიან მშრომელები, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ბევრ რამეს აკეთებს, რათა აღიკვეთოს ბირთვული საშიშროება, გადაჭრით

მოიწონეს მთავრობის პროგრამა

ანკარა, 2 ოქტომბერი. თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭომ, რომელმაც დროებით იკისრა სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციების შესრულება, ერთხმად მოიწონა პრემიერ-მინისტრ ბ. ულუსუს მიერ წარდგენილი ახალი მთავრობის პროგრამა. ახალი კაბინეტის შემადგენლობაში შევიდა 27 კაცი, მათ შორის შვიდი ყოფილი სამხედრო პირი. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია კადრის დიპლომატი, თურქეთის ყოფილი ელჩი სსრ კავშირში და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი გენერალური მდივანი ილთერ თურქმენი.

გაზეთ „მილიეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბ. ულუსუმ თქვა, რომ მთავრობის პროგრამა მიზნად ისახავს სახელმწიფოს ეკონომიკური და საშინაოპოლიტიკური ცხოვრების ნორმალიზაციას. მან აღნიშნა, რომ მი-

სი მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია „თანამედროვე თურქეთის შემქმნელის ქემალ ათათურქის პრინციპების დაცვა ყოველგვარი თავდასხმისაგან“. ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ ახალ მთავრობას, რომელიც ხელმძღვანელობს ათათურქის ერთ-ერთი პრინციპით—„მშვიდობა — ქვეყანაში, მშვიდობა — მთელ მსოფლიოში“, განზრახული აქვს თურქეთის ყველა მეზობელთან იქონიოს კეთილმეზობლობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ურთიერთობა.

მოკლედ ყოველი მხრიდან

2 ოქტომბერი

● **ულან-ბატორი.** მდინარე ხარხორის წყალი მოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის უბსუნურის აიმაკის გვალვიან ველზე. აქ ვადამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში უდიდესი სარწყავი სისტემის პირველი რიგი.

● **პარიზი.** „გზა გადავუღობოთ ნეონაციზმს“ — ასეთი ლოზუნგით 10.000-ზე მეტმა კაცმა გამართა ანტიფაშისტური მანიფესტაცია პარიზში. მისმა მონაწილეებმა ხელისუფლებს მოსთხოვეს იხმაროს ეფექტიანი ღონისძიებანი საფრანგეთში პროფაშისტურ დაჯგუფებათა დანაშაულებრივი მოქმედებების აღსაკვეთად.

● **ვაშინგტონი.** შეერთებულმა შტატებმა ახალი საშიში ნაბიჯი გადადგა სპარსეთის ყურის რაიონში დაწყებულ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩარევის გზაზე. პენტაგონმა გამოაცხადა, რომ ხუდის არაბეთში გაიგზავნება საჰაერო გაფრთხილებისა და კონტროლის სისტემებით აღჭურვილი ოთხი სამხედრო თვითმფრინავი.

რეაქციონერები არ ცხრებიან

ჰავანა, 2 ოქტომბერი. იამაიკის ულტრამემარჯვენე ძალები ამზადებენ სახელმწიფო გადატრიალებას მაიკ მენლის კანონიერი მთავრობის დამხობის მიზნით, გაიაცხადა იამაიკის მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა ტრევორ მუნრომ. იგი გამოვიდა კინგსტონში გამართულ იამაიკის საზოგადოებრიობის მასობრივ მიტინგზე.

ამჟამად, აღნიშნა მან, რეაქციონერები ცდილობენ ქვეყნის ვითარების დესტაბილიზაციას პოლიტიკური ძალადობით და თარეშით.

იამაიკის მთელი პროგრესული ძალები საკადრის პასუხს გასცემენ მემარჯვენეთა ყველა იმ ცდას, რომ ხელი იგდონ ძალაუფლება, თქვა ტ. მუნრომ.

პროვოკაციული აქციები

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

პნომპენი. ტაილანდის ხელისუფალნი კვლავ ამძაფრებენ დაძაბულობას ტაილანდ-კამპუჩიის საზღვარზე, ნათქვამია კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, სექტემბერში კამპუჩიის საზღვრისპირა რაიონებს არაერთგზის დაუშინეს არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი ტაილანდის ტერიტორიიდან, ტაილანდის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები იჭრებოდნენ კამპუჩიის საჰაერო სივრცეში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს პროვოკაციული აქციები ხორციელდება იმ აშკარა მიზნით, რომ მხარი დაუჭირონ ტაილანდის ტერიტორიაზე მოკალთებული პოლპოტელებისა და სხვა ქხმერი რეაქციონერების ბანდიტურ გამოხდომებს.

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს ტაილანდის მხედრიონის მოქმედების სახიფათო ხასიათს და აცხადებს, რომ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უზრუნველყოს თავისი ქვეყნის უშიშროება და ტერიტორიული მთლიანობა.

ფოტოინფორმაცია

ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში დიდი აღმშენებლობითი მუშაობაა გაჩაღებული. ქალაქის თითქმის ყველა უბანში შეხვდებით სამშენებლო მოედნებს. მშენებლები წარმატებით ასრულებენ 25 წლით გათვალისწინებულ ამოცანებს — აგებენ ახალ საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, სბავშვო ბაღებს, კეთილმოწყობილი ხდება ქუჩები და მოედნები.

სურათზე: ქაბულის ერთ-ერთი სამშენებლო მოედანი.

საკდესის ფოტოკორონიკა.

კონსერვატორთა პოლიტიკის შედეგი

გლეკაული. კონსერვატორთა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ნამდვილი კატასტროფაა ინგლისისათვის. ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემათა განხილვის დროს ასეთი დასკვნა გამოიტანეს დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის, აქ მიმდინარე 79-ე ყოველწლიური კონფერენციის დელეგატებმა. ორატორებმა დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ კონსერვატორთა ეკონომიკური ღონისძიებანი იწვევს წარმოების სწრაფ შეკვეცას ბრიტანეთის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის კრიზისს, საბინაო მშენებლობის შემცირებას, ბოლო ორმოცი წლის მანძილზე უმუშევრობის უპრეცედენტო ზრდას.

„ინგლისი განიცდის უღრმეს ეკონომიკურ კრიზისს მიმდინარე ასწლეულში, და კონსერვატორთა პრაქტიკულად ყოველ ნაბიჯს ამ კრიზისის შედეგმი გამწვავება მოჰყვება“ — განაცხადა პარტიის ლიდერის მოადგილემ მ. ფუტმა.

„უკვე ახლა „ზედმეტ ადამიანთა“ რიცხვი მნიშვნელოვნად სჭარბობს ოფიციალურ ციფრს —2 მილიონ 39 ათასს, განაცხადა ტრანსპორტისა და არაკვალიფიციურ მუშათა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა მ. ევანსმა. „უმუშევრობა თანამედროვე ინგლისის ერთ-ერთი საკვანძო პოლიტიკური პრობლემაა“, — თქვა მან.

ბევრი ორატორი აღნიშნავდა, რომ უმუშევრობისა და მშრომელი მასების ცხოვრების დონის დაქვეითების პრობლემები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ბრიტანეთის საზოგადოების ფუნდამენტურ გარდაქმნათა გზით. „უმუშევრობა არ გაქრება, სანამ იარსებებს კაპიტალისტური სისტემა“, — განაცხადა, კეიმოდ, ქალაქ ბუტლის დელეგატმა მ. ლინდსეიმ.

კონფერენციაზე თავი იჩინა პარტიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთების უთანხმოებამ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხთა თაობაზე. მთელ რიგ გამოსვლებში აისახა რიგითი ლეიბორისტების ფართო მასების უკმაყოფილება მემარჯვენე ფრთის იმ ცდების გამო, რომ შექმნან კაპიტალიზმის სიცოცხლისუნარიანობის, ინგლისში „კლასობრივი მშვიდობის“ შესაძლებლობის ილუზია. მიუხედავად ამისა, ნამლეკი მანევრების მეშვეობით პარტიის ხელმძღვანელობამ კონფერენციას მოაწონებინა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ლეიბორისტთა მომავალ მთავრობებს უტოვებს შესაძლებლობას დაუდონ პროფკავშირებს შეთანხმებანი მშრომელთა ხელფასის შეზღუდვის შესახებ.

ამასთან ერთად ხმების დიდი უმრავლესობით მიღებულ რეზოლუციებში წამოყენებულია მთელი რიგი პროგრესული ღონისძიებანი ეკონომიკის დარგში, რომლებმაც რადიკალურად უნდა შეცვალოს ქვეყნის ახლანდელი ეკონომიკური პოლიტიკა. კერძოდ, დელეგატებმა მოითხოვეს დაიწყოს გადამწყვეტი ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ, კაპიტალის გატანის დაუყოვნებელი შეზღუდვა, ეკონომიკის ნაციონალიზებული სექტორის გაფართოება, დიდ მოგებაზე გადასახადის დაწესება, შეიარაღების ხარჯების მკვეთრი შემცირება და სოციალური საჭიროებებისათვის ასიგნებათა გადიდება.

ძირგამომთხრელი პროპაგანდა

ვაშინგტონი, 2 ოქტომბერი. ამერიკის შეერთებულ შტატების ადმინისტრაცია, რომელიც მთლიანად უგულებელყოფს ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის დებულებებს, მკვეთრად ააქტიურებს ძირგამომთხრელ პროპაგანდისტულ საქმიანობას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზანს ისახავს ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს „მაქსიმალურად გამოიყენონ“ ეთერის მომწამვლელთა — „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ რადიოსადგურების „ტექნიკური პოტენციალი“ მათი საქმიანობის გაფართოების მიზნით. რეზოლუცია აგრეთვე შეიცავს მოწოდებას „გაიზარდოს რადიოტრანსლაციის მოცულობა უცხოურ ენებზე“.

ამერიკის მთავრობა უხვად აფინანსებს „ცივი ომის“ ამ რუპორებს, რომლებიც ვაშინგტონისათვის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საშინაო საქმეებში თავხედური ჩარევის იარაღია. მომდინარე საფინანსო წელს რადიოსადგურების „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ ბიუჯეტმა 93,6 მილიონი დოლარი შეადგინა, მომავალი წლისათვის კი იგი უკვე 113,5 მილიონი დოლარის ოდენობით არის დაგეგმილი.

ვაშინგტონის ადმინისტრაცია გამუდმებით ცდილობს სოციალისტურ ქვეყნებს ბრალად დასდოს ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის დებულებათა დარღვევა, რისთვისაც, სხვათა შორის იყენებს მიუნხენის რადიოსადგურების არხებს, რომლებსაც კონტროლს უწევს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. მაგრამ სწორედ, „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ ცილისმწამებლური საქმიანობა ეწინააღმდეგება ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტს, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ რადიოინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს „ხალხთა ურთიერთგაგების ინტერესებს“.

მარში იერუსალიმში

ბეირუთი. ისრაელის მთავრობამ მიმართა ახალ დემონსტრაციულ ანექსიონისტურ აქციას, რომლის მიზანია დაადასტუროს ისრაელი ექსტრემისტების პრეტენზიები იერუსალიმის აღმოსავლეთ (არაბულ) ნაწილზე. 30 სექტემბერს იერუსალიმისაკენ გაემართნენ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე დასახლების ათასობით მცხოვრები და საოკუპაციო არმიის ჯარისკაცები. მათ შეუერთდა დაახლოებით ათასი სიონისტი, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან სპეციალურად ჩამოვდნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ „იერუსალიმისაკენ მარშში“. მარშის ძირითადი მიზანია „ალყა შემოარტყას ქალაქს და დაადასტუროს მისი განუყოფელი ხასიათი“.

ქიმიური იარაღი ხალხის წინააღმდეგ

სან-ხოსე, 1 ოქტომბერი. საღვაფორის დანაშაულებრივი ხუნტა ჩვეულებრივ სახეობათა შეიარაღების გარდა ხალხის მასების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციების დროს იყენებს ქიმიურ იარაღს, რომელსაც შეერთებული შტატები აწვდის. ეს განაცხადა რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრონტის ხელმძღვანელობამ.

სან-სალვადორში გავრცელებულ ამ ორგანიზაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ ხუთი უკანასკნელი დღის განმავლობაში მორასნისა და სან-ვისენტეს დეპარტამენტების, აგრეთვე სან-ვისენტეს ვულკანის მახლობლად მდებარე სასოფლო-სამეურნეო რაიონებს დასახლებულ პუნქტებში ხუნტის თვითმფრინავებმა ბარბაროსულად ჩამოყარეს ჭერბიცდები. შხამიანი დეფოლიანტებით მოიწამლა შაქრის ლერწის ვრცელი პლანტაციები, ხილის ბაღები, ტბები, მდინარეები, ტბორები და ჭები ამ რაიონში მდებარე დასახლებულ პუნქტებში.

ამ დანაშაულებრივი აქციების მიზანია მოსპოს ყოველივე ცოცხალი ადგილებში, სადაც რეჟიმის აზრით, მოქმედებენ პარტიზანები.

ბარბაროსული თავდასხმების შედეგად, ხაზგასმულია განცხადებაში, დაიღუპა ასობით უდანაშაულო ადამიანი, ხოლო იმათ, ვინც ცოცხალი გადარჩა, სხეულზე გამოაჩნდათ წითელი ლაქები — კანზე „მხამიანი სითხის მოხვედრის კვალი. თუმცა პენტაგონელი ვაი-მეომრები ირწმუნებიან დეფოლიანტები, რომლებსაც ფართოდ იყენებდნენ ვიეტნამის ომის დროს, უვნებელია. უკვე დამტკიცებულია, რომ ისინი განუკურნელ დაავადებებს იწვევენ.

მეხიკო. სალვადორის რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენელმა კარლოს ფლორესმა ამხილა შეერთებული შტატების კონტროლს დაქვემდებარებული ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საძრახისი საქმიანობა სალვადორში. აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ ახლახან ჰონდურასთან საზღვარზე დააპატიმრეს სალვადორელთა ჯგუფი, რომლებიც თავს არიდებდნენ რეაქციული მხედრიონის დევნას, ისინი გადასცეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც პატრიოტები სალვადორის ხელისუფლებს ჩააბარეს. რეჟიმის დილეგებში სასტიკი წამების შემდეგ უდანაშაულო ადამიანები დახვრიტეს.

ორმხრივი თავდასხმები

ბალდადი, 2 ოქტომბერი. ერაყის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის კომუნიკაციაში ნათქვამია, რომ ირანის ავიაცია გუშინ მთელი დღის მანძილზე თავს ესხმოდა კირკუკისა და ვარბილის ნავთობსაწარმოების რაიონებს, ქალაქებს ზაზოსა და თიქრითს.

ბაღდადის სამხრეთ ნაწილში დორის ნავთობგადამამუშავებელ კომბინატში გრძელდება ხანძარი. დორის რაიონში ირანის თვითმფრინავებმა დაბომბეს გაზსადენი. როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, „ფანტომის“ ტიპის ირანული თვითმფრინავებმა გუშინ ნაწილობრივ დაანგრიეს საფრანგეთის მიერ აგებული სამეცნიერო-კვლევითი ატომური ცენტრი. მაგრამ დაზიანდა დამხმარე ნაგებობანი, თვით რეაქტორი კი, რომლის ამოქმედება მომავალი წლის დამდეგისათვის იყო დასახული, არ დაზიანებულა.

ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა, როგორც დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ახალი შეტევა დაიწყეს ამადანის რაიონში.

როგორც სამხედრო ცნობებშია აღნიშნული, ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალებმა მასირებულად დაბომბეს ირანის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო და ეკონომიკური ობიექტები. განადგურებულია ბენდერ-ხომეინის ნავთობის ნაგებობანი, ამადანის ფაბრიკა, აჰვაზის ნავთის საცავები.

თეირანი. ირანის სამხედრო სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ ყასრი-შირინის რაიონში ირანის ჯარების შეტევის დროს ერაყელებმა მძიმე ზარალი განიცადეს.

ღღეს ფარსის სააგენტომ გავრცელა ირანის მთავრობის ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია: უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე ზოგიერთი ქვეყანა იმ საბაბით, რომ შეშფოთებული არიან ორმაგზის სრუტის შესაძლო ჩაკეტვის გამო, აპირებენ ჩაერიონ სპარსეთის ყურის რაიონში მიმდინარე ამბებში. ირანი ყოველ ღონეს იხმარს, რათა უზრუნველყოს ნორმალური ნაოსნობა ამ სანაოსნო გზაზე და აცხადებს, რომ ერთგულად იცავს საერთაშორისო ვალდებულებებს სრუტის მიმართ.

პარიზი. ირან-ერაყის საზღვარზე საბრძოლო მოქმედება, აღნიშნავს ფრანს პრესის სააგენტო, შეიძლება გაჭიანურებულ ომად გადაიქცეს. მოვლენათა ამგვარ განვითარებას, იტყობინება სააგენტო, შეიძლება მოჰყვეს ანორიგე მეომარი მხარის სრული დაუძლურება, ან უცხოეთის სამხედრო ჩარევა, ანდა ერთიც და მეორეც.

ოლიმპიადა

3 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40—სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დარჩენილი სიცოცხლისათვის“, მე-2 სერია, 17.00 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა (ფ.), 17.30 — „განცხადებები, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.00 — შვეიცარიელი ფრანგული ენა (ფ.), 18.30 — პატრიოტული ცხოვრება — „რწმენა და მოქმედება“, 19.00 — „ლენინური“ (ფ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.40 — მხატვრული ფილმი „ჯოია, ანუ შემეცინების რთული გზა“. პირველი სერია (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „რედაქციაში წერილი მოვიდა“. 23.25 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მოსწავლეთათვის ფიზიკა (ფ.), 16.30 — განცხადებები, 16.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.05 — მასწავლებლის საათი — ქიმია (ფ.), 17.50 — კონცერტი, 18.20 — მხატვრული ფილმი — „ბეთოვენი“.

მოსკოვი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — საბჭოთა პოეტების ლექსები კოსმოსზე მოსკოველ მოსწავლეთა შესრულებით, 10.35 — მხატვრული ტელეფილმი „ეროშკა არდადეგებზე“, მეორე სერია, 11.40 — ხალხური შემოქმედება. ტელეფილმოხილვა. დამთავრების შემდეგ — (12.25) და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები, 16.30 — მ. მსოფლიკი — „ბამოფვენის სურათები“, 17.10 — ფარსკვლავთმრიცხველი. ტელეკურსანი, 17.55 — მოსკოვის კომკავშირის საქმენი, 18.25 — ს. ესენინის ლირიკა. პოეზიის დაბადების 85-ე წლისთავი, 18.55 — ტელესალონი „ოლიანოსკის“ ნორჩ კორესპონდენტთა შეხვედრა ქ. ალექსინინგრაადის № 27 პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორთან ა. ს. ალექსეინთან, 19.45 — დღის მსოფლიოში, 20.00 — „ორეოვი და ახლობელი სიმღერა, 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „ეროვნული ორდენი“. 22.00 — „ვრემია“, 22.35 — „ბეთოვენი“. 23.45 — დღეს მსოფლიოში.

3 ოქტომბერი

ბაბაჯანის სახელობის მუსიკალური კომედიის — ლამარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პეტრე პლატონის ძე **წულუკიძე.**

პ. წულუკიძე დაიბადა 1905 წელს ქ. ქუთაისში, ცნობილი პედაგოგის პლატონ წულუკიძის ოჯახში, დაამთავრა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, შემდეგ კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და შრომითი საქმიანობა დაიწყო ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტში. 1929 წლიდან პ. წულუკიძე მიავლინეს რიონჰესის მშენებლობაზე, სადაც 10 წელიწადს იმუშავა.

იგი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბეტონისა და საშენი მასალების ლაბორატორიის. ამ პერიოდში პ. წულუკიძე მონაწილეობდა კახოვკის, ვოლგის, ირკუტსკის, ბრატსკის, კრასნოიარსკის, აგრეთვე, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის დიდ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისთვის საჭირო ბეტონის ტექნოლოგიის მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ლჯანურისა და ენგურის ჰიდროელსადგურებ ი ს „კამხლებისათვის ბეტონის დაპროექტების, სპეციალური ცემენტის, ბეტონის ტექნოლოგიის შემუშავებისა და მათი წარმოების საქმეში.

1943 წლიდან პ. წულუკიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

პ. წულუკიძე 75 სამეცნიერო შრომის ავტორია, შემოქმედებითს მეცნიერულ და აღმზრდელობითს მუშაობას იგი წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო საბჭოების წევრი, რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და რამდენიმე მედლით.

ღვაწლმოსილი მეცნიერის, საუკეთესო მოქალაქის პ. წულუკიძის სახელი მარად დაუვიწყარი იქნება მისი აღზრდილებისა და მეგობრებისათვის.

საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი; „საქჰიდროენერგომშენი“; „თბილჰიდროპროექტი“.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

3 ოქტომბერი

თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40—სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დარჩენილი სიცოცხლისათვის“, მე-2 სერია, 17.00 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა (ფ.), 17.30 — „განცხადებები, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.00 — შვეიცარიელი ფრანგული ენა (ფ.), 18.30 — პატრიოტული ცხოვრება — „რწმენა და მოქმედება“, 19.00 — „ლენინური“ (ფ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.40 — მხატვრული ფილმი „ჯოია, ანუ შემეცინების რთული გზა“. პირველი სერია (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „რედაქციაში წერილი მოვიდა“. 23.25 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მოსწავლეთათვის ფიზიკა (ფ.), 16.30 — განცხადებები, 16.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.05 — მასწავლებლის საათი — ქიმია (ფ.), 17.50 — კონცერტი, 18.20 — მხატვრული ფილმი — „ბეთოვენი“.

მოსკოვი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — საბჭოთა პოეტების ლექსები კოსმოსზე მოსკოველ მოსწავლეთა შესრულებით, 10.35 — მხატვრული ტელეფილმი „ეროშკა არდადეგებზე“, მეორე სერია, 11.40 — ხალხური შემოქმედება. ტელეფილმოხილვა. დამთავრების შემდეგ — (12.25) და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები, 16.30 — მ. მსოფლიკი — „ბამოფვენის სურათები“, 17.10 — ფარსკვლავთმრიცხველი. ტელეკურსანი, 17.55 — მოსკოვის კომკავშირის საქმენი, 18.25 — ს. ესენინის ლირიკა. პოეზიის დაბადების 85-ე წლისთავი, 18.55 — ტელესალონი „ოლიანოსკის“ ნორჩ კორესპონდენტთა შეხვედრა ქ. ალექსინინგრაადის № 27 პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორთან ა. ს. ალექსეინთან, 19.45 — დღის მსოფლიოში, 20.00 — „ორეოვი და ახლობელი სიმღერა, 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „ეროვნული ორდენი“. 22.00 — „ვრემია“, 22.35 — „ბეთოვენი“. 23.45 — დღეს მსოფლიოში.

3 ოქტომბერი

აბაბაჯანის სახელობის მუსიკალური კომედიის — ლამარა.

ვის ვნახავთ, ვის მოვუსმენთ

კონცერტებით უსვი ოქტომბერი

შემოდგომა ახალი საკონცერტო სეზონის დროა. იგი ახლაც დაატყობს მსმენელებს საოკეანეს მხატვრულ კოლექტივებთან, მუსიკის შემსრულებლებთან სასახარულო შეხვედრებით.

ოქტომბრის საკონცერტო აფიშის შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში.

„უკვე თვის პირველივე რიცხვებში თბილისელებსა და დელეგაციებს სტუმრებს კონცერტებზე ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლე, სადაც ერთი კვირის განმავლობაში გამოვა ჯაზური და ზანგთა სიმღერების შემსრულებელი ვეიდლად როდი და საესტრადო ორკესტრი „სოვრემენიკი“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია ჯაზის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ანატოლი კროლი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სიმღერის შემსრულებელთა სრულიად რუსეთის კონკურსების ლაურეატები.

მსმენელები შეხვდებიან აგრეთვე საბჭოთა არმიის ა. ა. ალექსანდროვის სახელობის ორგანის ფოთელდრონშოვან აკადემიურ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ბ. ალექსანდროვი.

26 ოქტომბრიდან სპორტის სასახლის არენა ათი დღით დაეთმობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მსახიობებს. მრავალფეროვანი რეპერტუარ ყინწლზე ელის ხელოვნების ამ სახეობის მოყვარულთა.

კონსერვატორიის დიდ დარბაზსა და ოფიციერთა სახლში გამოვა ა. იერლოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული საგუნდო კაპელა. საორღანო მუსიკის თაყვანისმცემლები დაესწრებიან სომხეთის დამსახურებული არტისტის ვ. სტამბოლჩიანის კონცერტს.

საშემოდგომო აფიშაზე არის ისეთი სახელები, როგორიც არის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ვ. ვიარდო, რომელიც ჯამოვა საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად და გამართავს სოლო კონცერტს, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტები: მევიოლინე ბ. ბუტნიკოვი და პიანისტი ე. მალინინა.

მსმენელები შეხვდებიან აგრეთვე ქართველ შემსრულებლებს — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ლ. ჭყონიას, რესპუბლიკის სახალხო არტისტს მ. იაშვილს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს ე. მგალობლიშვილს, ახალგაზრდა ვოკალისტებს მ. ნამორაძეს, ნ. ჯაბუნიას, ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტს ნ. ნოდიბაიძესა და სხვებს.

ინფორმაციული ნაწილი

ფოტოკორესპონდენტი

ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური
განათლების სამინისტრო

აცხადებს მიღებას

1980-81 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი განყოფილებების დღის სწავლებაზე

სწავლის ხანგრძლივობა — 8 თვე

მსმენელები ულიმიტოდ მიიღებიან რესპუბლიკის შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში:

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში
(მოსამზადებელი განყოფილება)
(ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 17)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

მათემატიკა (ქართ. სექტ. 16 ადგ.); გამოყენებითი მათემატიკა (ქართ. სექტ. 7 ადგ. რუს. სექტ. 3 ადგ.); ფიზიკა (ქართ. სექტ. 10 ადგ. რუს. სექტ. 6 ადგ.); რადიოფიზიკა და ელექტრონიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 5 ადგ); სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები (ქართ. სექტ. 5 ადგ.); მეტეოროლოგია (ქართ. სექტ. 3 ადგ.); მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ); ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 10 ადგ.); **გასაუბრება — მათემატიკასა და ფიზიკაში;**

ქიმია (ქართ. სექტ. 10 ადგ.); საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 20 ადგ.); საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 10 ადგ.); საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **მათემატიკასა და ქიმიაში;**

— ისტორია (ქართ. სექტ. 10 ადგ.); ქართული ენა და ლიტერატურა (14 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა (13 ადგ.); სამართალმცოდნეობა (ქართ. სექტ. 20 ადგ.); ფილოსოფია (ქართ. სექტ. 4 ადგ.); აღმოსავლური ენები და ლიტერატურა (ქართ. სექტ. 3 ადგ.) საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობა (ქართ. სექტ. 2 ადგ.) — **სსრ კავშირის ისტორიასა და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში;**

— გეოგრაფია (ქართ. სექტ. 10 ადგ.); პოლიტიკური ეკონომია (ქართ. სექტ. 2 ადგ.); ფინანსები და კრედიტი (ქართ. სექტ. 10 ადგ.); სტატისტიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); საბუღალტრო აღრიცხვა (ქართ. სექტ. 44 ადგ. რუს. სექტ. 12 ადგ.); სახალხო მეურნეობის დაგეგმვა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); მრეწველობის დაგეგმვა (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 5 ადგ.); შრომის ეკონომიკა (ქართ. სექტ. 10 ადგ.); ვაჭრობის ეკონომიკა (ქართ. სექტ. 15 ადგ.); მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა (ქართ. სექტ. 10 ადგ.); — **მათემატიკასა და გეოგრაფიაში.**

— ბიოლოგია (ქართ. სექტ. 15 ადგ.); ფსიქოლოგია (ქართ. სექტ. 6 ადგ.); სოფლის მეურნეობის დაგეგმვა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **მათემატიკასა და ბიოლოგიაში;**

— ეკონომიკური კიბერნეტიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **მათემატიკასა და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— სამართალმცოდნეობა (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1 ადგ.) — **რუსულ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში.**

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში
(ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 45)

შემსვლელთათვის ქართული სექტორის შემდეგ ფაკულტეტებზე:

— ინგლისური ენა, ლიტერატურა (16 ადგ.); გერმანული, ენა, ლიტერატურა (7 ადგ.); ფრანგული ენა, ლიტერატურა 7 ადგ.); — **გასაუბრება — უცხო ენასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.**

აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში
(მოსამზადებელი განყოფილება)
(ქ. სოხუმი, ჩოჩუას ქ. № 40)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე;

— მათემატიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 4 ადგ.); ფიზიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 5 ადგ.); ზოგადტექნიკური დისციპლინები და ფიზიკა (რუს. სექტ. 4 ადგ.); — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

ქიმია (ქართ. სექტ. 10 ადგ.); საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 20 ადგ.); საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 10 ადგ.); საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **მათემატიკასა და ქიმიაში;**

— ისტორია (ქართ. სექტ. 10 ადგ.); ქართული ენა და ლიტერატურა (14 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა (13 ადგ.); სამართალმცოდნეობა (ქართ. სექტ. 20 ადგ.); ფილოსოფია (ქართ. სექტ. 4 ადგ.); აღმოსავლური ენები და ლიტერატურა (ქართ. სექტ. 3 ადგ.) საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობა (ქართ. სექტ. 2 ადგ.) — **სსრ კავშირის ისტორიასა და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში;**

— ბიოლოგია (ქართ. სექტ. 15 ადგ.); ფსიქოლოგია (ქართ. სექტ. 6 ადგ.); სოფლის მეურნეობის დაგეგმვა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **მათემატიკასა და ბიოლოგიაში;**

— ეკონომიკური კიბერნეტიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **მათემატიკასა და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— სამართალმცოდნეობა (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1 ადგ.) — **რუსულ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში.**

ბათუმის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში
(ბათუმი, ნინოწმინდის ქ. 85)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— რუსული ენა და ლიტერატურა (4 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა ნაციონალურ სკოლაში (4 ადგ.); ქართული ენა, ლიტერატურა (4 ადგ.); **გასაუბრება — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— მათემატიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ფიზიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— გეოგრაფია-ბიოლოგია (ქართ. სექტ. 4 ადგ.); — **გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში;**

— ქიმია-ბიოლოგია (ქართ. სექტ. 4 ადგ.); — **ქიმიასა და მათემატიკაში;**

— დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (რუს. სექტ. 3 ადგ. აფხაზ. სექტ. 3 ადგ). — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში.**

— სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (აფხაზ. სექტ. 5 ადგ.); — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და ბიოლოგიაში;**

— ბიოლოგია (რუს. სექტ. 5 ადგ.); — **ბიოლოგიასა და მათემატიკაში.**

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
(მოსამზადებელი განყოფილება)
(ქ. თბილისი, ლენინის ქ. 77, მე-5 კორპუსი).

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართ. სექტ. 45 ადგ. რუს. სექტ. 9 ადგ.); მშენებლობა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); სამშენებლო ნაგებობათა და კონსტრუქციების წარმება (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ელექტროსადგურები (ქართ. სექტ. 8 ადგ.); ელექტროსისტემები და ქსელები (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 2 ადგ.); ქალაქის სამრეწველო საწარმოთა და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია (ქართ. სექტ. 8 ადგ. რუს. სექტ. 2 ადგ.); თბოელექტროსადგურები (ქართ. სექტ. 5 ადგ.); სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ელექტროამძრავი და სამრეწველო საწარმოთა ავტომატიზაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); სამარაშაიდერო საქმე (ქართ. სექტ. 5 ადგ.); სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დაზვერვის ტექნოლოგია და ტექნიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიური აგებგმა და ძიება (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ნავთობისა და გაზის საბადოთა გეოლოგია და ძიება (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ნავთობისა და გაზის საბადოთა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა (ქართ. სექტ. 8 ადგ. რუს. სექტ. 2 ადგ.); მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობა (ქართ. სექტ. 10 ადგ.); რადიოკავშირგაბმულობა და რადიომაუწყებლობა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); რადიოტექნიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 2 ადგ.); ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (ქართ. სექტ. 14 ადგ.); საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების საწარმოების მექანიკური მოწყობილობა (ქართ. სექტ. 10 ადგ.); საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ელექტრომანქანები (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 2 ადგ.); ელექტროსაზოლაციო და საკაბელო ტექნიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 2 ადგ.); სამრეწველო ელექტრონიკა (ქართ. სექტ. 8 ადგ. რუს. სექტ. 2 ადგ.); ელექტრონული აპარატები (ქართ. სექტ. 10 ადგ.); ლითონთა ფიზიკა (ქართ. სექტ. 2 ადგ.); ნახევარგამტარები და დიელექტრიკები (ქართ. სექტ. 3 ადგ.); — **გასაუბრება — მათემატიკასა და ფიზიკაში.**

— არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); მჭიდა მასალების ქიმიური ტექნოლოგია (რუს. სექტ. 5 ადგ.); კერამიკისა და ცეცხლმედეგი მასალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); მინის და სიტალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); შავი ლითონოების მეტალურგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 5 ადგ.); ლითონმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავება მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ლითონის წნევით დამუშავება (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **მათემატიკასა და ქიმიაში.**

— საფეიქრო მრეწველობის ჰაპარები და აპარატები (მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტი, 2. ადგ.); პოლიგრაფიული მანქანები (მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტი, 1 ადგ.); ელექტრონულ-სამედიცინო აპარატურა (ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი, 3 ადგ.); ლოკომოტივმშენებლობა (მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტი, 1 ადგ.); ლოკომოტივმშენებლობა (ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; 1 ადგ.), — **რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— წიგნთმცოდნეობა და წიგნის ვაჭრობის ორგანიზაცია (მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტი, 2 ადგ.); უმსოვი საფეიქრო ქსოვილების წარმება (მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტი, 1 ადგ.); ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური ტექნოლოგია (მოსკოვის წმინდა ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტი, 3 ადგ.); სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირება 1 ადგ. ტყავის ნაკეთობათა ნაწარმის კონსტრუირება 1 ადგ. (მოსკოვის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი), ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია (კიევის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, 2 ადგ.); ტყავისა და ბეწვის ტექნოლოგია 1 ადგ. ტყავის ნაკეთობათა ნაწარმის კონსტრუირება 1 ადგ. (კიევის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი); თევზის პროდუქტების ტექნოლოგია (კალინინგრადის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნიკური ინსტიტუტი, 2 ადგ.) — **რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ქიმიაში.**

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში
(მოსამზადებელი განყოფილება)
(ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 32)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— ქართული ენა და ლიტერატურა (5 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა (6 ადგ.); რუსული ენა, ლიტერატურა ნაციონალურ სკოლაში (6 ადგ); ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ისტორია-პედაგოგიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); **გასაუბრება — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— რუსული ენა და ლიტერატურა, ენა, ლიტერატურა (5 ადგ.); — **რუსულ ენასა და ლიტერატურაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში;**

— აზერბაიჯანული ენა, ლიტერატურა და რუსული ენა, ლიტერატურა (4 ადგ.); — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და რუსულ ენასა და ლიტერატურაში;**

— სომხური ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა (4 ადგ.); — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.**

— დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართ. სექტ. 6 ადგ.); — **ქართულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში;**

— სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (ქართ. სექტ. 6 ადგ. რუს. სექტ. 4 ადგ.) — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და ბიოლოგიაში;**

— მათემატიკა (ქართ. სექტ. 6 ადგ. რუს. სექტ. 4 ადგ.); ფიზიკა (ქართ. სექტ. 8 ადგ.); ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (ქართ. სექტ. 6 ადგ.) — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— ბიოლოგია-ქიმია (რუს. სექტ. 5 ადგ.); — **ბიოლოგიასა და ქიმიაში;**

— ქიმია-ბიოლოგია (ქართ. სექტ. 6 ადგ.) — **ქიმიასა და მათემატიკაში;**

— გეოგრაფია-ბიოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში.**

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში
(ქ. ცხინვალი, მოსკოვის ქ. 8)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— რუსული ენა და ლიტერატურა (5 ადგ.); რუსული ენა, ლიტერატურა და ისტორია (5 ადგ.); ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია (5 ადგ.); **გასაუბრება — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— მათემატიკა და ფიზიკა (ქართ. სექტ. 4 ადგ. რუს. სექტ. 2 ადგ.); ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (რუს. სექტ. 4 ადგ.) — **მათემატიკასა და ფიზიკაში.**

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში
(თელავი, წრიული 1)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— ფიზიკა-ასტრონომია (ქართ. სექტ. 4 ადგ.) — **გასაუბრება მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— ფიზიკური აღზრდა (ქართ. სექტ. 10 ადგ.); დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდა (ქართ. სექტ. და რუს. სექტ. 75 ადგ.) — **ბიოლოგიასა და ქიმიაში.**

ჟუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში
(მოსამზადებელი განყოფილება)
(ქ. ჟუთაისი, კიროვის ქ. № 55)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— რუსული ენა და ლიტერატურა ნაციონალურ სკოლაში (5 ადგ.); ქართული ენა და ლიტერატურა (5 ადგ.), ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია (4 ადგ.); — **გასაუბრება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— ისტორია, გერმანული ენა (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **გერმანულ ენასა და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— მათემატიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ფიზიკა (ქართ. სექტ. 4 ადგ.); ზოგადტექნიკური დისციპლინები და ფიზიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **მათემატიკასა და ფიზიკაში.**

— ბიოლოგია-ქიმია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **ბიოლოგიასა და ქიმიაში;**

— დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში.**

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში
(ბათუმი, ნინოწმინდის ქ. 85)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— რუსული ენა და ლიტერატურა (4 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა ნაციონალურ სკოლაში (4 ადგ.); ქართული ენა, ლიტერატურა (4 ადგ.); **გასაუბრება — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— მათემატიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ფიზიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— გეოგრაფია-ბიოლ ო გ ი ა (ქართ. სექტ. 4 ადგ.); — **გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში;**

— ქიმია-ბიოლოგია (ქართ. სექტ. 4 ადგ.); — **ქიმიასა და მათემატიკაში;**

— დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართ. სექტ. 4 ადგ.); — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში.**

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში
(ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. 87)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია (4 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა ნაციონალურ სკოლაში (4 ადგ.); **გასაუბრება — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— ფიზიკა (ქართ. სექტ. 4 ადგ.) — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— გეოგრაფია-ბიოლოგია (ქართ. სექტ. 3 ადგ.) — **გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში;**

— დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში.**

ჟუთაისის ალ. ფეოფანეს სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში
(მოსამზადებელი განყოფილება)
(ქ. ჟუთაისი, ალალგაზრდობის პრ. 62)

შემსვლელთათვის ქართული სექტორის შემდეგ სპეციალობებზე:

— მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (25 ადგ.); სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია და მოწყობილობანი (5 ადგ.); მსუბუქი მრეწველობის მანქანები და აპარატები (5 ადგ.); ავტომობილები და ტრაქტორები (8 ადგ.) შიდაწვის ძრავები (5 ადგ.); საგზაო და სამშენებლო მანქანები და მოწყობილობანი (8 ადგ.); კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანები და აპარატები (9 ადგ.); — **გასაუბრება — მათემატიკასა და ფიზიკაში.**

— ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა (7 ადგ.); ტრიკოტაჟის წარმოება (5 ადგ.); სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია (10 ადგ.); ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია (5 ადგ.); ქსოვა (5 ადგ.); პურის ცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო წარმოების ტექნოლოგია (2 ადგ.); საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია (6 ადგ.); გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა (5 ადგ.); ხის დამუშავების ტექნოლოგია (10 ადგ.) — **მათემატიკასა და ქიმიაში.**

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში
(მოსამზადებელი განყოფილება)
(ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. 33)

შემსვლელთათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

— სამკურნალო (ქართ. სექტ. 65 ადგ. რუს. სექტ. 20 ადგ.); პედიატრიული (ქართ. სექტ. 40 ადგ.); სანიტარიულ-ჰიგიენური (ქართ. სექტ. 20 ადგ.); სტომატოლოგიური (ქართ. სექტ. 15 ადგ.); ფარმაცევტული (ქართ. სექტ. 20 ადგ.); — **გასაუბრება — ფიზიკასა და ქიმიაში.**

— ბიოფიზიკა (მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტი 1 ადგ.) — **ბიოლოგიასა და ფიზიკაში.**

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში
(მოსამზადებელი განყოფილება)
(ქ. თბილისი, დიღომი, საქართველოს სამხედრო გზის მე-18 კილომეტრი)

შემსვლელთათვის ქართული სექტორის შემდეგ სპეციალობებზე:

— აგროსაინჟინრო (4 ადგ.); აგროქიმია — ნიადაგთმცოდნეობა (4 ადგ.); აგროსაინჟინრო მელიორაცია (5 ადგ.); აგროსაინჟინრო საკვებწარმოება (4 ადგ.); მეხილეობა-მებოსტნეობა — მევენახეობა (4 ადგ.); ხილბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია (3 ადგ.); მცენარეთა დაცვა (4 ადგ.); აგროსაინჟინრო მეაბრეშუმეობა (5 ადგ.); **გასაუბრება — ფიზიკასა და ქიმიაში;**

—სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (10 ადგ.); მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია (5 ადგ.); სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია (10 ადგ.); ჰიდრომელიორაცია (10 ადგ.); მიწათმოწყობა (10 ადგ.); ღვინის ტექნოლოგია (1 ადგ.); დაკონსერვების ტექნოლოგია (1 ადგ.); სატყეო სამეურნეო (5 ადგ.); — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია (10 ადგ.); საბუღალტრო აღრიცხვა (5 ადგ.) — **მათემატიკასა და გეოგრაფიაში.**

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველეტერინარო სასწავლო-კვლევითის ინსტიტუტში
(ქ. თბილისი, კრწანისი)

შემსვლელთათვის ქართული სექტორის შემდეგ ფაკულტეტებზე:

— ზოოსაინჟინრო (25 ადგ.); საველტერინარო (25 ადგ.); — **გასაუბრება — ფიზიკასა და ქიმიაში.**

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში
(მოსამზადებელი განყოფილება)
(ქ. სოხუმი, კელასური)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— სუბტროპიკული მეურნეობა (ქართ. სექტ. 20 ადგ. რუს. სექტ. 10 ადგ.); დეკორატიული (ქართ. სექტ. 10 ადგ.); აგრომელიორაციული (ქართ. სექტ. 10 ადგ.) — **გასაუბრება — ბიოლოგიასა და ფიზიკაში;**

— ტექნოლოგიური (ქართ. სექტ. 18 ადგ. რუს. სექტ. 7 ადგ.); — **მათემატიკასა და ქიმიაში;**

— მექანიზაცია (ქართ. სექტ. 18 ადგ. რუს. სექტ. 7 ადგ.); — **მათემატიკასა და ფიზიკაში.**

მოსამზადებელი განყოფილება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული — ამზადებს მსმენელებს აგრეთვე თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედინსტიტუტში ჩასარიცხად, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტთან არსებული — ამზადებს მსმენელებს აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის და თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტებში ჩასარიცხად, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტთან არსებული — ამზადებს მსმენელებს აგრეთვე ბათუმის შ. რუსთაველის სახელობისა და გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტებში ჩასარიცხად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული — ამზადებს მსმენელებს აგრეთვე საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტში ჩასარიცხად.

უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე მიიღებიან სსრ კავშირის 34 წლამდე მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ დამთავრებული საშუალო განათლება და პრაქტიკული მუშაობის სტაჟი — მოწინავე მუშები, კოლმეურნეები და თანამრეგვი დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეები სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა, აგროსამეურნეოთა, გეოლოგიურ-საძიებო და ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ ორგანიზაციათა, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამომხმარებლო კოოპერაციების, სოფლის მეურნეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და საწარმოო გაერთიანებების, აგრეთვე სამხედრო ნაწილების სარდლობისა და სსრ კავშირის დოსაფის სასწავლო ცენტრების მიმართვებით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის ორგანიზაციებს უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე შეუძლიათ გამოგზავნონ მხოლოდ ზეინკლები, ხარატები, მღარავები, შემდუღებლები, ამწყობები და ელექტრომონტიორები.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან აგრეთვე პირნი უმცროსი სამედიცინო პერსონალიდან (ავადმყოფთა მომვლელი უმცროსი მედდები და სანიტრები) საავადმყოფო დაწესებულებების, განსაკუთრებული ტიპის სასწავლო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, დისპანსერების, ამბულატორია-პოლიკლინიკის დაწესებულებ ე ბ ი ს, სასაწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სისხლის გადასხმის დაწესებულებების, დედისა და ბავშვის დაცვის დაწესებულებების, სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, სანიტ ა რ ი ო ულ-პროფილაქტიკული დაწესებულებების, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დაწესებულებების, საგფთიაქო დაწესებულებების, აგრეთვე ხანდაზმულთა და ინვალიდთა სანატორიუმების მიმართვებით.

მოსამზადებელ განყოფილებებზე ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში, რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს სატყეო-სამეურნეო და სატყეო-ტექნიკური სპეციალობებით, მიიღებიან აგრეთვე სატყეო მეურნეობათა და სხვა სატყეო-სამეურნეო საწარმოთა მოწინავე მუშები.

მოსამზადებელ განყოფილებაზე ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს დამზადების სამინისტროს საწარმოთათვის, მიიღებიან აგრეთვე დამზადების სამინისტროს სისტემის პურის მომღები საწარმოების მოწინავე მუშები.

მოსამზადებელ განყოფილებებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლებიც ამზადებენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სპეციალისტებს, მიიღებიან აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოწინავე მუშები (გამყიდველები, მზარეულები, მოლარე-კონტროლიორები და კონდიტერები).

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებაზე „დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდა“ (თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩასარიცხად) მიიღებიან 1979 წლის ნოემბერ-დეკემბერში, 1980 წლის მაის-ივნისში და ნოემბერ-დეკემბერში საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი სამხედრო ნაწილის მომართვით, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც დემობილიზაციის შემდეგ მუშაობის საკავშირო-სამეურნეო სტაჟით გამოგზავნილ უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე მოვლენების უფლების მქონე ორგანიზაციები.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების უმცროსი მედდები და სანიტარი ქალები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სანიტრები შეიძლება გაგზავნონ მხოლოდ სამკურნალო, პერიტონიტის და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე, საფთიაქო დაწესებულებათა სანიტრები — მხოლოდ ფარმაცევტულ ფაკულტეტებზე, ხოლო სანიტარიულ-პროფილაქტიკური დაწესებულებების სანიტრები — მხოლოდ სანიტარიულ-ჰიგიენურ ფაკულტეტზე.

მოსამზადებელ განყოფილებებზე გასაგზავნი კანდიდატურების ფართო განხილვა ეწყობა საამქროების, საწარმო ე ბ ი ს, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და კოლმეურნეთა კრებებზე.

ის შემთხვევაში, როცა ის